ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1461878

ნომერი: AR1245830

თარიღი : 21.08.2014

გაცემის თარიღი : 04.09.2014

გაცნობის თარიღი : 14.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი 11/047) / ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზასა და დიდ დიღომში შესასვლელ გზასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 21 აგვისტოს #AR1245830 განცხადებით მომართეს ილია ხავთასმა და ნატო ღვინჯილიამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 15.06.2012 წ. #01.10.06.011.058 (1105 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე ავტოსერვისის აშენების მიზნით დამტკიცებულ იქნა #216059 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ახალი საპროექტო ობიექტის – არსებული #3/1, #4/1 და #6/1 შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის დამატებას.

სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა და შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ობიექტის დამატება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საპროექტო ობიექტი – არსებული #3/1, #4/1 და #6/1 შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

• #4/1 შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედი შეზღუდვის-სერვიტუტის დაცვით;

3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

• არსებული #3/1, #4/1 და #6/1 შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია განხორციელდეს საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"–ს მუხლი–34 მიხედვით;

4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ველს – „მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია“ დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

• საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობების მდგრადობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ;

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.06.2012 წ. #216059 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.